პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
13 ივნისი
№ 136 (17779)
ფასი 2 კაპ.

ფერმებს მეტი საკვები!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1980 წელს უხეში და წვნიანი საკვების წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის რაიონულმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სამეურნეოთაშორისო საწარმოებმა, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფაში. შარშან, მაგალითად, რესპუბლიკაში დამზადდა 1,1 მილიონი ტონა საკვები ერთეული, ანუ ერთ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით — 17,89 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერის ნაცვლად.

ამავე დროს საკვების წარმოებისა და დამზადების მოცულობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სრულფასოვან საკვებზე მეცხოველეობის მზარდ მოთხოვნილებას.

მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმარისად არ მუშაობენ უხეში და წვნიანი საკვების წარმოების ორგანიზაციის საკითხზე. დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ ბუნებრივ საკვებ სავარგულებს. საკვებ კულტურებში, სათიბებსა და საძოვრებში საკმარისი რაოდენობით არ შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები, ნელა იზრდება საკვები კულტურების მოსავლიანობა და სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობა.

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად ვერ ასრულებს უხეში და წვნიანი საკვების წარმოებისა და დამზადების დადგენილ დავალებებს, საკვების ხარისხი კვლავ ცუდია, რის შედეგადაც პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში მოდის ბევრი თხოვნა სხვა რაიონებიდან და სახელმწიფო რესურსებიდან საკვების გამოყოფის შესახებ.

მთელი რიგი მუშაკების უპასუხისმგებლობას, რომლებსაც დაკისრებული აქვთ უზრუნველყონ საკვების წარმოებაში, დამზადებასა და გამოყენებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა, მოჰყვა დავალებების შეუსრულებლობა ისეთი ეფექტიანი მეთოდების მიხედვით, როგორიც არის თივის შრობა აქტიური ვენტილირებით, კარბამიდთან ერთად სილოსის ჩადება, ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესება, საკვების დაბრიკეტება და გრანულირება, კომბინირებული სილოსის ჩადება, აგრეთვე ჩალის დასილოსება რძემჟავას საფუვრის საშუალებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქსახსოფლტექნიკა და მათი ადგილობრივ ორგანოები ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ საკვები საამქროებისა და საკვების სამზარეულოების დროზე საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, გრანულატორების, დამბრიკეტებლებისა და ბალახის ფხვნილის საწარმოო აგრეგატების დამონტაჟებისათვის.

სისტემატურად არ სრულდება განმეორებითი საკვები კულტურების თესვის გეგმა, ირღვევა მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ვადები, ამ კულტურების თესვა წარმოებს სუფთა სახით, პარკოსან კულტურებთან შეურევლად, რის შედეგადაც დაბალდა ამ კულტურების მოსავლიანობა და პროტეინის შემცველობა საკვებში.

წელს წვიმიანი გაზაფხულის შედეგად რესპუბლიკაში ყველგან კარგი ბალახი მოვიდა ბრუნვაში მოუქცეველ სავარგულებში, რომლის მთლიანად გამოყენება უზრუნველყოფს კარგ პირობებს საკვების მტკიცე მარაგის შექმნისა და პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. ამავე დროს ამ სავარგულებში ბალახის დაგვიანებით აღებას შეიძლება მოჰყვეს არსებული რეზერვის აუნაზღაურებელი დანაკარგები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქსახსოფლტექნიკა, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეოთაშორისო საწარმოების ხელმძღვანელები და სპეციალისტები ვალდებული არიან შეიმუშაონ და ყველა მეურნეობასა და რეგიონში განახორციელონ მაღალხარისხოვანი საკვებით მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებანი იმ ვარაუდით, რომ 1980 წელს დაამზადონ 700 ათასი ტონა თივა, 900 ათასი ტონა სენაჟი, 500 ათასი ტონა სხვა უხეში საკვები, მილიონი ტონა სილოსი, 170 ათასი ტონა საკვები ძირხვენები და ბაღჩეული და 50 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი, განმეორებით დათესონ საკვები კულტურები 107 ათას ჰექტარზე, უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის 43 ათასი ტონა მარცვლეულის ჩაბარება კომბინირებული საკვების სანაცვლოდ.

მათ უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გადაჭარბებით შესრულდეს ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების, სარწყავი სათიბებისა და საძოვრების შექმნის, საძოვრების გაწყლოვანებისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა რეკონსტრუქციის დავალებანი; ააშენონ და აამოქმედონ ახალი სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი, თივის, ხელოვნურად გაუწყლოვანებული მწვანე საკვების, ძირხვენების საცავები იმ ვარაუდით, რომ შეავსონ 1979 წლის დავალებათა შეუსრულებლობით გამოწვეული ხარვეზები.

უნდა უზრუნველყონ აქტიური ვენტილირების მეთოდით თივის ბოლომდე გაშრობის, ბალახის ფხვნილის, გრანულირებული და დაბრიკეტებული საკვების წარმოების დადგენილ დავალებათა უთუოდ შესრულება; განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გამომეტნონ უხეში და წვნიანი საკვების დამზადების დამატებითი წყაროები, ამასთან მაქსიმალურად გამოიყენონ ამ მიზნით ველური მცენარეულობა და მემცენარეობის თანამოდროვეობა; უხეში საკვების დამზადებასთან ერთად მოაწყონ მისი მიტანა პირუტყვის გამოზამთრების ადგილას, რათა ეს სამუშაო ძირითადად დამთავრდეს პირუტყვის ბაგური შენახვის დაწყებამდე, განახორციელონ ღონისძიებები, რათა საკვები დროულად გაატარონ შემოსავალში და გადასცენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს მისი მოვლა-დაცვისათვის, გააძლიერონ კონტროლი საკვების ხარისხისადმი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეოთაშორისო საწარმოებში მისი დამზადების პერიოდში. გაიფართოონ საკვების ხარისხის შემოწმების მასშტაბი რესპუბლიკური, ზონალური აგროქიმიური და ვეტერინარული ლაბორატორიების ძალებით, უზრუნველყონ დროული ანალიზები და დადგენილ ვადებში საკვების ხარისხის შემოწმების შედეგების გაგზავნა მეურნეობებისათვის. ამასთან უნდა შეიქმნას უხეში საკვების რესპუბლიკური სადაზღვევო ფონდი საკვების დამზადების მოცულობის სულ ცოტა 1 პროცენტის ოდენობით.

უკვე წელს თითოეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სამეურნეოთაშორისო საწარმოში უნდა შეიქმნას საკვებწარმოების სპეციალიზებული განყოფილებანი, ბრიგადები და მექანიზებული რგოლები, ამასთან საკვებწარმოება უნდა გამოიყოს მეურნეობის ცალკე დამოუკიდებელ დარგად.

(დასასრული მე-3 გვ.).

რევოლუციური ტრადიციების ჩაუქრობელი შუქი

ლენინ უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით აღინიშნება ბაქოს კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მგზნებარე რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმის მაგალითია თუ როგორ უნდა იღვწოდე ხალხის ბედნიერებისათვის და როგორ უნდა დაიფერფლო მის სიყვარულსა და ერთგულებაში. დიდი რევოლუციონერის დაღუპვიდან სამოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ გმირები არ კვდებიან. დავიწყების ფერფლი ვერასოდეს ვერ დაფარავს მათ სახელს.

მადლიერი შთამომავლობა მუდამ სათუთად ინახავს გულში მშრომელი ხალხისათვის თავდადებულთა ნათელ ხსოვნასა და კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებას სასახელო საქმეებით განამტკიცებს.

თაობათა სულიერი მემკვიდრეობა ჩვენი საზოგადოების ის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც აახლოებს კომუნიზმს, საფუძველს უყრის ხალხთა ბედნიერებასა და ნათელ მომავალს. მართლაც, საჭირო, რამდენი თაობის მედგარი და გმირული შრომა იყო მიღწეული, რომ დღევანდელობის მწვერვალებიდან დაგვენახა ის და წარმატებები, რომლებიც მოვიპოვეთ ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში. რამდენი სახელოვანი ადამიანის თავდადება, შემართება, თავგანწირვა და გმირობა უნდა ანთებულიყო მოკაშკაშე ვარსკვლავად, რომ მომავლის გზა გაეჩირაღდნებინა შემდგომი თაობებისათვის. ისინი მილიონები იყვნენ და, თუ არა ამ მილიონთა დაუოკებელი მისწრაფება სანუკვარი კომუნიზმისადმი — არ ვიქნებოდით ის, რაც ვართ და ვერ ავმაღლდებოდით იმ მწვერვალებამდე, საიდანაც ნათლად ჩანს დიდებული მომავლის ჰორიზონტები.

ყოველ საბჭოთა ადამიანს სიამაყის გრძნობით აღავსებს, რომ იგი გამგრძელებელია სახელოვან მამათა მდიდარი რევოლუციური ტრადიციებისა. ეს ტრადიციები ჭეშმარიტად საერთო-სახალხო კუთვნილებაა და ამიტომ არის იგი ჩვენი საზოგადოების ბრძოლისა და შემოქმედებითი შთაგონების წყარო.

დიდი ლენინი მოგვიწოდებდა — სათუთად შეგვენახა რევოლუციური ტრადიციები, გაგვეთვითარებინა და დაგვენერგა ისინი ფართო მასების შეგნებაში. ჩვენი თაობა მარად ერთგულია დიდი ბელადის ამ მოწოდებისა. იგი არასოდეს არ ივიწყებს იმათ, ვინც იდგა რევოლუციის აკვანთან, ვინც თავდაუზოგავად შეებრძოლა მეფის თვითმპყრობელობას და შემდეგ კი ენერგიის დაუშურებლად იღვწოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ჩვენი ეპოქის შვილთა საქმეები ეს პირდაპირი განგრძობაა წინაპართა დაწყებული დიდი ბრძოლისა. ამ შვილთა ხასიათში ნათლად არის შერწყმული მამების სიბრძნე, სულის სიმტკიცე, მომავლისადმი სწრაფვა და კომუნისტური იდეების ერთგულება. ამიტომ არის, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და დავუკაცებული საბჭოთა ადამიანი ღრმა შეგნებით აგებს მომავალს, არ უშინდება სიძნელეებს და მკაცრ განსაცდელს. მისი განუყრელი თვისებებია იდეური რწმენა, უშრეტი სასიცოცხლო ენერგია, მაღალი კულტურა, მიზნის სიცხადე, ღრმა ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების უნარი. იგი დაუოკებლად ისწრაფვის მიზნისაკენ და ეს მიზანია კაცობრიობის ნათელი მომავალი — კომუნიზმი.

რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდა უთუოდ წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის მთელი პროცესის განუყოფელ ნაწილს. ამიტომ არის, რომ მშობლიური კომუნისტური პარტია მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალგაზრდობის აღზრდას მამათა სახელოვანი ტრადიციებით. ეს ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობოდნენ უფროსი თაობის გმირობის მაგალითებს და ამ შთაგონებით იღვწოდნენ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

„ჩვენ ყოველთვის გვწამდა, — ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჩვენზე უკეთესი, ჩვენზე განათლებული და კულტურული იქნებოდნენ, და დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც მამათა გზას ადგას, არა მარტო იმეორებს, არამედ განაგრძობს კიდეც მას, გაჰყავს გზა კიდევ უფრო შორს მომავალში“.

მართლაც, ჭმირობისა და შემართების შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან ჩვენი ახალგაზრდები საკოლმეურნეო მინდვრებში თუ მშენებლობის ხარაჩოებზე, მერხებთან თუ დაზგებთან, გიგანტური ელექტროსადგურებისა და მაგისტრალების მშენებლობებზე, მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა თუ სოციალისტური შეჯიბრებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები წმინდად სცემენ პატივს ყველაფერს, რაც წარსულთან არის დაკავშირებული და თანამედროვეობის შესაფერისად დგანან იქ, სადაც საჭიროა მათი მკლავის ძალა, ენერგია, აზრი და შემართება.

რევოლუციური წარსულის პატივისცემა — ეს ნიშნავს მზად ვიყოთ პარტიისა და ხელისუფლების ყოველ დაძახილზე, ფეი ავუწყოთ ჩვენი დღეების გიგანტურ ნაბიჯებს, ვამრავლოთ სახალხო დოვლათი და სიმდიდრე. ამიტომ შრომითი ტრადიციების განვითარება და განგრძობა წარსულის უდიდესი დაფასებაა.

ახალგაზრდა თაობის შრომითი აღზრდა მართლაც წარმოუდგენელია უტრადიციოდ. განვაგრძოთ მამათა ტრადიციები — აი, რას უსახავენ მიზნად პარტია და ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. უფროსი თაობის გამოცდილება და მაგალითი არა მარტო სტიმულს აძლევს ახალგაზრდა თაობას, არამედ მატერიალურ ძალასაც წარმოადგენს უფრო დიდი მიღწევებისათვის ბრძოლაში.

და რაოდენ სასიამოვნო და ნიშანდობლივია, რომ უფროსი თაობა თავის გამარჯვებად მიიჩნევს მემკვიდრეთა წარმატებებს; ასევე გულითადად ახარებს ახალგაზრდებს უფროსი ადამიანების მხარდაჭერა, მათ მიერ გაკვალული გზით სიარული, ერთმანეთის მხარდამხარ მტკიცე და იმედიანი თანადგომა.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომკავშირი ლენინის ორდენით დაჯილდოდა. ეს იყო ჩვენი გამრჯე გოგონებისა და ვაჟების, ჩვენი შრომისმოყვარე ახალგაზრდობის ღვაწლის საქვეყნოდ აღიარება. გულწრფელად გაახარა ამ ჯილდომ მთელი რესპუბლიკა, რადგან იგი არამარტო დღევანდელი კომკავშირელების, არამედ მთელ კომკავშირულ თაობათა კუთვნილება გახდა. მთავრობის ამ მაღალი ჯილდოთი გამოიხატა მამათა და შვილთა გენეტიკური ერთიანობა.

საქართველოს კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის საზეიმო პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა: „თქვენ ახალგაზრდები ხართ. მაგრამ დღეს აქ ჩვენც, უფროსი თაობის ხალხიც, თავს ახალგაზრდულად ვგრძნობთ. ეს გასაგებიც არის, თითოეული ჩვენგანის სიკაბუკე ჯერ კომკავშირით დაიწყო. კომკავშირი კი სიმბოლოა მომავლისა. ეს, რაკიმ გვახარებს იმის შეგნება, რომ თქვენ, ოთხმოციანი წლების კომკავშირელები, თვალისჩინებივით უფრთხილდებით და ამრავლებთ თქვენი მამა-პაპის, უფროსი და-ძმის სახელოვან შრომითს, საბრძოლო, რევოლუციურ, ინტერნაციონალისტურ ტრადიციებს“.

ახალგაზრდობის აღზრდა უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებზე, მათ რევოლუციურ, საბრძოლო, შრომითს მაგალითებზე ყოველი პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის სიცოცხლეცეული საქმეა.

კომუნიზმის მშენებელ თაობას თავისი იდეური წრთობის ფესვები მარად ღრმად უნდა ჰქონდეს გადგმული წინაპართა მდიდარ და ნოყიერ სულიერ წიაღში.

ეს არის ჩვენი საზოგადოების უძლეველობის წყარო.

ხუთწლედი—ვადამდე!

საქმემ გამოაჩინა

აქ ლოკომოტივებს „მკურნალობენ“

თბილისის სალოკომოტივო დეპოს ამწევ-შემკეთებელ საამქროში კარგად იცნობენ ელექტროსამონტაჟო განყოფილების ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც კომუნისტი ო. ჯინჭარაძე ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივს დიდი წვლილი შეაქვს საამქროს შრომითს წარმატებაში. აქ წლის დამდეგიდან 27 ელმავალი და 6 თბომავალი შეკეთდა.

სურათებზე: ო. ჯინჭარაძე (მარჯვნივ) და მისი ბრიგადის წევრი, ზეინკალი — კომუნისტი ვ. ბატკუაშვილი; აწევითი საამქროს ერთ-ერთი უბანი.

ს. კილაძის ფოტო.

470 ათასი ტონა ჩაისათვის

ორი თვის გეგმა შესრულდა

ხელვაჩაური, 12 ივნისი. (საქინფორმის კორ.). დაბა ხელვაჩაურის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა აჭარაში პირველებმა დაძლიეს ამინდის არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული ჩამორჩენა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში და ვადამდე შეასრულეს მაის-ივნისის დავალება. გადასამუშავებლად გაგზავნეს 150 ტონა ჩაის ნედლეული, ორი თვის გეგმით გათვალისწინებული 142 ტონის ნაცვლად.

— ხელვაჩაურელებს მოსავლის აღების პირველ ეტაპზე ასეთი მაღალი მიჯნისათვის ჯერ არ მიუღწევიათ, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თამაზ ქობულაძემ, — ამაში შრომის ზუსტი ორგანიზაცია დაგვეხმარა. ყველა ბრიგადა მტკიცე გრაფიკით მუშაობს. ფოთოლი რომ არ გაუხეშდეს, მასობრივი კრეფა ყოველ ამინდში მიმდინარეობს.

შეჯიბრების ავანგარდშია მეოთხე ბრიგადა, რომელსაც ო. სალაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა უკვე მოკრიფეს 50 ტონა პირველხარისხოვანი ნედლეული და ორი თვის დავალება 110 პროცენტით შეასრულეს.

იმათ შორის, ვინც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ხელვაჩაურელ მეჩაიეთა პირველ წარმატებაში, არიან მკრეფავები მ. ასანიძე, ე. ხოზრევანიძე, ე. ბეჟანიძე, ზ. შარაძე, ნ. ღუმბაძე და სხვები, რომლებისთვისაც ამომუშავების ორი ნორმის შესრულება წესად იქცა.

ორი თვის დავალებებს მალე შეასრულებენ სოფლების მახოს, მეჯინისწყლის, დაბა მახინჯაურის კოლმეურნეობების, ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები.

მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა.

დაბა ხელვაჩაურის კოლმეურნეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და პირობა დაიდეს წლის საგეგმო დავალებით გათვალისწინებულზე ასი ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული მოკრიფონ.

საუბარი კრემლში

12 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფირმა „პეფსი-კოს“ გამგეობის თავმჯდომარე დ. მ. კენდალი მისი თხოვნით.

საუბრის დროს, რომელსაც საქმიანი ხასიათი ჰქონდა, ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა ის პოზიტიური მნიშვნელობა, რომელიც მუდამ ენიჭებოდა კონკრეტულ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიკური გაცვლის დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაბამისად ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისათვის.

დ. მ. კენდალმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში არსებული სიძნელეები დროებითი ხასიათისაა და დაძლეულ იქნება. მან აგრეთვე მხარი დაუჭირა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების გზების ძიებას. (საკდესი).

ქალაქი — სოფელს

მწვანე ალოოგა

თიბათვის რეპორტაჟი

ხუიროწვიმიანმა გაზაფხულმა მინდვრები გაალაღა, რომ იტყვიან, ქვაზეც კი ბალახია ამოსული. ახლა სოფლად უამრავი საქმეა. მშრომელები უმეტესად ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში შრომობენ. სიმინდი და მზესუმზირაც სათოხნია, ქერის მკაც ხომ დაიწყო, ბოსტნეულს უვლიან, იღებენ! ასე რომ, ყველა მოუცლელია, აღარც მთიბავები ჰყოფნით.

მინდვრად, გზისპირებსა და ქარსაფარ ზოლებში ბალახი ყველგან სათიბია, და აი სოფლად ამ გახურებული მუშაობის დროს, ტრადიციისამებრ თბილისელები დასვენების და უქმე დღეებში მინდვრად გადიან, რომ სოფლის მშრომელებს დაეხმარონ პირუტყვის საკვების დაგროვებაში.

თბილისის მეორე მექანიკური ქარხნის და „საქთბილისმანქანის“ მშრომელები გასულ შაბათ-კვირას თბილისის შემოგარენს ესტუმრნენ.

შრომის ვეტერანი ა. ძიძიკაშვილი ამბობს: ჩვენმა კოლექტივმა 30 ტონა ბალახის დამზადება იკისრა, ერთ ტონას მარტო მე გავთიბავ. მას არ ჩამორჩებიან არც მექანიკური ქარხნის კოლექტივის წევრები თ. მაღალტაძე, გ. ერდეკაშელი.

„საქთბილისმანქანმშენის“ მთიბავთა ჯგუფში მოწინავეთა შორის არიან გაერთიანების სახელოვანი ზეინკლები გ. კირვალიძე და ი. მარსაგიშვილი. 60 ტონა ბალახს დავამზადებთო, ამბობენ ჯგუფის წევრები.

მუყაითად მუშაობენ ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს მოწინავენი. ამ კოლექტივის მთიბავთა ჯგუფის წევრებმა ვ. ბეგიაშვილმა და ი. შათირიშვილმა კოლექტივის სახელით 10-12 ტონა ბალახის დამზადება იკისრეს.

ლისის ტბის მიდამოებში კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები მუშაობენ. სტუდენტთა რაზმმა, რომელშიც მონაწილეობენ მეხუთეკურსელი ლ. კობახიძე და მესამეკურსელი ო. პირველი, ვალდებულება იკისრეს 30 ტონა ბალახი დამზადონ.

მ. ვახტანგაძე.

გმირული სიცოცხლე

პ. ა. ჯაფარიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

მეგობრები ალიოშას ეძახდნენ, ერქვა კი პროკოფი, პარტიული ფსევდონიმები ჰქონდა „ბობოქარი“ და „ბალახნელი“, ლონდონში პარტიის ყრილობაზე გოლუბინის პასპორტით გაეგზავნა, კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებში რევოლუციურ მუშაობას თავად ბარათოვის სახელით ეწეოდა.

პროკოფი აფრასიონის ძე ჯაფარიძის (ალიოშას), ბოლშევიკ-ლენინელის, პარტიის III და VI ყრილობების დელეგატის, რუსეთის სამი რევოლუციის აქტიური მონაწილის, ბაქოს კომუნის გმირის ხანმოკლე, მაგრამ მამაცური ცხოვრების ხსოვნა ცოცხლობს და მარად იცოცხლებს თაობათა გულებში.

ქართველი ხალხის შესანიშნავი შვილის ნათელი სახის ერთი თვისება განსაკუთრებით მშობლიურს და ახლობელს ხდის მას არა მარტო ამიერკავკასიის ხალხებისათვის, არამედ ყველა ერისა და ეროვნების საბჭოთა ადამიანებისათვის. ეს, ქართული სოფლის შარდომეთის მკვიდრმა, თავისი მხურვალე გულის დიდი ნაწილი ბაქოში დატოვა. იგი ლენინურ იდეებს გაუნმარტავდა თბილისსა და ქუთაისს, პეტერბურგისა და დონის როსტოვის მუშებს, ენისეის გუბერნიის სოფელ კამენსკის გლეხებს. იგი შაუმიანის, აზიზბეკოვისა და ფიოლეტოვის ახლო მეგობარი და ერთგული თანამებრძოლი იყო. ეს მან, მგზნებარე ინტერნაციონალისტმა 1917 წლის აგვისტოში „ორნუტადის“ მეზღვაურთა მიტინგზე წარმოთქვა გულშეჩამფრთხობი სიტყვები:

— კავკასიელები დედის რძესთან ერთად იწოვენ თავისუფლებისადმი სიყვარულს, სწორედ თავისუფლებისათვის ჩვენ ყოველთვის რევოლუციური არმიის პირველ რიგებში ვიბრძოდით. თქვენ ჩვენი არმიის მოწინავე რაზმი ხართ. თქვენმა მძლავრმა დარტყმამ გაანადგურა თვითმპყრობელური წყობილება არა მარტო პიტერში, არამედ მთელ უზარმაზარ რუსეთში. ვფიქრობთ და გვწამს, რომ თქვენ კვლავ იქნებით რუსეთის ახალი, კიდევ უფრო დიდი რევოლუციის სათავეში!

12 ივნისს თბილისში გაიმართა პ. ა. (ალიოშა) ჯაფარიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელსაც დაესწრნენ პარტიის ვეტერანები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ღირსეულად რომ აგრძელებენ თაობათა რევოლუციურ ესტაფეტას.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, ალიოშა ჯაფარიძის ქალიშვილები ლ. და ე. ჯაფარიძეები, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების ხელმძღვანელები, პარტიის ვეტერანები, მოსკოვიდან, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საიუბილეო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. სტურუამ.

მოხსენება თემაზე „პ. ა. ჯაფარიძე და საქართველოს პარტიული ორგანიზაციები“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. მერკვილაძემ. „ალიოშა ჯაფარიძე — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ხალხთა მეგობრობის მგზნებარე ქომაგი“ — ასეთი იყო სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. სიმონიანის მოხსენების თემა. მოხსენება „ალიოშა ჯაფარიძე, ბაქოს კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი“ გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბ. ა. ჯაფარიძემ.

რევოლუციის რაინდის ალიოშა ჯაფარიძის დაუცხრომელ მოღვაწეობაზე, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა მუშათა კლასის საქმისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლას, ილაპარაკეს სესიაზე მისმა ქალიშვილმა ელენე ჯაფარიძემ, რომელმაც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს საიუბილეოდ გადასცა თავისი მამის ოთხი წერილი, მისმა ბიძაშვილმა ლადო ჯაფარიძემ, ძმისწულმა მედეა ჯაფარიძემ, სომხურ ენაზე გამოცემული პ. ა. ჯაფარიძისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ა. კარაპეტიანმა, სკკპ წევრმა 1917 წლიდან დ. ლომაძემ.

გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერის პ. ა. ჯაფარიძის ცხოვრება და მოღვაწეობა უკვდავყოფილია მონუმენტებით, წიგნებით, დასახლებული პუნქტების, ქუჩების, სასწავლებლების სახელწოდებებით. ალიოშა ჯაფარიძის იდეები, ხალხსიყვარული მისი თავდადებული სამსახურის მაგალითი ჩვენს თანამედროვეებს კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს.

(საქინფორმი).

სურათზე: ალიოშა ჯაფარიძის ძეგლი ქალაქ ონში.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

რევოლუციის რაინდი

ა. ჯაფარიძის დაბადების მე-100 წლისთავი

ბაქო, 26 კომისრის სახელობის მოედანი. აქ, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლთა საძმო საფლავზე მუდამ ყვავილებია. ამით გამოხატავენ ჩვენი დროის ადამიანები 26 კომისრის, უკვდავი გმირებისადმი თავის ღრმა პატივისცემას. გადის დრო, ათწლეულებს ათწლეულები მისდევს, მაგრამ 26 კომისრის ნათელი ცხოვრება მარად რჩება და მომავალ თაობებს გადაეცემა ძმობისა და მეგობრობის უკვდავ ლეგენდად.

მათ შორის იყო ალიოშა ჯაფარიძე, რომლის დაბადების მე-100 წლისთავს ვუძღვნით ამ ნარკვევს.



1900 წლის გაზაფხული იდგა. ბლაშე ტბის მიდამოებში თავს იყრიდნენ მუშები. ერთხანს ჯგუფებად იდგნენ, საუბრობდნენ. მერე ვიღაცამ შინიდან წამოიღო ლურჯი სუფრა მოლზე დააფინა, ზედ ყველი, პური, მწვანილი დააწყო, ხელადით ღვინო დადგა. ყველანი სუფრას შემოუსხდნენ...

და აი ერთმა ხელში აიღო ჭიქა:

— ამხანაგებო, დღეს პირველი მაისია, მუშათა სოლიდარობის დღე. ამ დღეს მთელი ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ, რათა თავისი ძალა დაანახონ კაპიტალისტებს...

ორატორი ლაპარაკობს მტკიცედ, დამაჯერებლად. მას ცვლის მეორე, მესამე... ილაპარაკეს კობა ჯუღაშვილმა, მიხეილ კალინინმა, მიხა ბოჭორიძემ, ზაქარია ჩოდრიშვილმა, პროკოფი ჯაფარიძემ...

ამ შეკრებიდან სამი თვეც არ გასულა, რომ აგვისტოში პროკოფი ჯაფარიძის აქტიური მონაწილეობით თბილისში მოეწყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვა. თუმცა იგი დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ ალიოშას გული არ გასტეხია: „ამ გაფიცვაში გამარჯვება მეტია, ვიდრე დამარცხება, — წერდა იგი იმ დღეებში. — 16-დღიანი ერთსულოვანი გაფიცვა, ათასიან მასებზე ორგანიზაციის გავლენის ზრდა, განა ეს უახლოეს მომავალში ჩვენი სრული გამარჯვების საწინდარი არ არის? ჩვენ მორალურად გავიმარჯვეთ, მტკიცე საძირკველი ჩავუყარეთ თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიულ წყობილებასთან გადამწყვეტ შეჯახებას და ჩვენთვის ჯერჯერობით ესეც საკმარისია“.

მალე თბილისში მტკვრის სანაპიროზე გოროზად აზიდული მეტეხი პროკოფი ჯაფარიძის პირველი პატიმრობის ადგილად იქცა, მასთან ერთად დაუპატიმრეს აგვისტოს გაფიცვის სხვა მონაწილენიც: ზაქარია ჩოდრიშვილი, ვიქტორ კურნატოვსკი, სერგო ალილუევი... მაგრამ მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო, რამდენიმე თვის შემდეგ ჯაფარიძე გაათავისუფლეს. თუმცა მას თბილისში ცხოვრება აუკრძალეს და იგი ქუთაისში გაემგზავრა, სადაც დაუახლოვდა საშა წულეკიძეს, მიხა ცხაკაიას.

ქუთაისში ალიოშა ჯაფარიძე დიდ მუშაობას ეწეოდა დასავლეთ საქართველოში მუშებსა და გლეხებს შორის, აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონში.

1903 წელს მას ირჩევენ რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრად, სულ მალე კი კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში შეჰყავთ. მისი ხელმძღვანელობით ქუთაისში ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წრე. წრის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ახალგაზრდა ქალიშვილი — ვარო ხოჯაშვილი, რომელიც შემდეგ ჯაფარიძის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა.

1904 წელს კავკასიის კავშირის კომიტეტმა, როგორც გამოცდილი პარტიული მუშაკი, ალიოშა ჯაფარიძე ბაქოში მიავლინა, რათა დახმარებოდა ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. აქ მას ირჩევენ ქალაქის ბოლშევიკური კომიტეტის შემადგენლობაში.

1905 წელს ალიოშა ჯაფარიძე, როგორც ბაქოს ორგანიზაციის დელეგატი, ლონდონში მიემგზავრება და გოლუბინის გვარით მონაწილეობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის მუშაობაში.

ინგლისის ზეცა ნისლში გახვეული შეეგება შორეული კავკასიიდან ჩასულ დელეგატს. ჯაფარიძეს ნავსადგურში მიხა ცხაკაია ელოდა.

— რატომ დაიგვიანე? — შეეგება მიხა და სიყვარულით გადაეხვია ძველ მეგობარს.

— ისე მეუბნები, თითქოს მეზობელი სოფლიდან მოვდიოდე. ერთი მითხარი, რამდენი სხდომა გაიმართა და რა საკითხები განიხილეს?

საუბარში გზა მალე გაიღია. მეგობრები მაღალი სახლის შესასვლელში შევიდნენ. ცარიელი დარბაზი გაიარეს. მომცრო ოთახის კართან შეჩერდნენ. პროკოფის გული გამალებით უცემდა — აი ახლა შეხვდება იმ ადამიანს, რომლის ნახვა დიდი ხნის ოცნებად გადაქცეოდა, რომლის თითოეული სიტყვა ასე აღფრთოვანებდა, მოწოდებად ჩაესმოდა.

ოთახში შევიდნენ, მისი ყურადღება ფანჯარასთან მოსაუბრე მამაკაცების ჯგუფმა მიიქცია. ერთი საშუალო ტანის მამაკაცი, სახეზე კეთილი ღიმილი რომ დასთამაშებდა, ალერსიანი თვალებით შესცქეროდა მოსაუბრეს და რაღაცას უმტკიცებდა.

— აგერ ვლადიმერ ილიჩი, მივიდეთ მასთან! — თქვა მიხამ. „ნუთუ ეს ლენინია?!“ ფიქრობდა ალიოშა...

ალიოშა ჯაფარიძე არაერთხელ გამოვიდა ყრილობის დღის წესრიგის სხვადასხვა საკითხზე. ყველა ყურადღებით უსმენდა მას. თავის საბოლოო სიტყვაში კი ბაქოს ბოლშევიკების წარმოგზავნილის გამოსვლებს ლენინმა მაღალი შეფასება მისცა, „უაღრესად საყურადღებო“ უწოდა.

ყრილობიდან რომ დაბრუნდა, ალიოშა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა პარტიულ საქმეებს: აწყობს მეფის მანიფესტის საპროტესტო დემონსტრაციებს, გამოდის მშრომელთა მიტინგებზე და ამხელს თვითმპყრობელობის ყველა პროვოკაციულ გამოსვლას, არის ბაქოს დეპუტატების საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობს მის ბოლშევიკურ ფრაქციას... მალე მას აპატიმრებენ, მაგრამ მეგობრები იხსნიან საპყრობილიდან.

და კვლავ ზრუნვა პარტიული კომიტეტის აღდგენისათვის. ალიოშა ჯაფარიძემ ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელ ამხანაგებთან ოსიებ ჯუღაშვილთან, ივანე ფიოლეტოვთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა მენშევიკებსა და სხვა ჯურის შემთანხმებლებს და კომიტეტი ბოლშევიკ-ლენინელთა დასაყრდენად გადააქცია; აწყობს დემონსტრაციებს, გაფიცვებს, ბაქოს მუშებს ამზადებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1906 წელს ქმნის ნავთობის მრეწველობის მუშაკთა კავშირს, რომლის გამგეობის მდივნადაც წლების მანძილზე მუშაობდა.

მაგრამ ამ დროს დამარცხდა რუსეთის პირველი რევოლუცია. რეაქციის სუსხი ბაქოსაც მისწვდა. ალიოშა ჯაფარიძეს უკან არ დაუხევია. იგი ახალი ბრძოლებისათვის რაზმავს მუშებს: სტეფანე შაუმიანთან ერთად იწყებს ბოლშევიკური გაზეთის „ბაკინსკი რაბოჩის“ გამოცემას, რომელიც ბოლშევიკური ძალების მობილიზაციის მძლავრი იარაღი გახდა. 1907 წელს ხელმძღვანელობს ბაქოს ნავთობის მრეწველობის მუშების ორგანოს — „გუდოკის“ გამოცემას. ამავე წელს იგი კვლავ შეიყვანეს რსდმპ ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში. მისი საქმიანობა პოლიციისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენია, კვლავ აპატიმრებენ, მაგრამ ამჯერად დიდი თანხის მიღების იმედით იგი გაათავისუფლეს, თუმცა აუკრძალეს ბაქოში ცხოვრება და ალიოშა როსტოვში მიემგზავრება. აქ იგი უახლოვდება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებს: და ისევ პარტიული მუშაობა, ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების აღდგენისათვის.

მას ირჩევენ დონის პარტიული კომიტეტის მდივნად, მაგრამ ერთ-ერთი სხდომის დროს აპატიმრებენ და 3 წლით ვოლოგდის გუბერნიის სოფელ ველიკო უსტიუგში ასახლებენ, სადაც იმ დროს სტალინი იყო გადასახლებული.

სასჯელის მოხდის შემდეგ, 1914 წელს ალიოშა თბილისში. ბრუნდება და კვლავ სათავეში უდგება ბოლშევიკურ ორგანიზაციას, აწყობს საიდუმლო სტამბას, ბეჭდავს პროკლამაციებს, ბროშურებს, ხელმძღვანელობს გაფიცვებს, იწვევს მუშათა კრებებს.

ყანდარმერიასაც არ სძინავს. ფეხდაფეხ დასდევს რევოლუციონერებს. დაპატიმრება არ ასცდა ჯაფარიძესაც. ერთხანს იგი საგუბერნიო ციხეში ჰყავდათ, მერე კი ციმბირში გადაასახლეს. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავი დაეღწია გადასახლებისათვის. 1916 წლიდან იგი საქართველოში, სამხედრო ნაწილებში აყალიბებს ბოლშევიკურ ჯგუფებს, ხელმძღვანელობს მათ.

მალე ბაქოს მუშების დაფინანსებული მოთხოვნით იგი კვლავ ბაქოში გადაიყვანეს პარტიულ სამუშაოზე. აქ იგი სტეფანე შაუმიანთან, მეშადი აზიზბეკოვთან, ივანე ფიოლეტოვთან და სხვებთან ერთად იბრძვის ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებისათვის. მას ირჩევენ ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის და ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ცვლის სტეფანე შაუმიანს. მალე იგი შეიყვანეს ბაქოს საბალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში და დანიშნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, მას ევალება ამ პირობებში მეტად რთული და პასუხსაგები საქმე — ქალაქის სურსათით მომარაგება. ამასთან მის მხრებს აწვა საგაფიცო მუშაობა ქარხნებსა და წარმოებებში, და უნდა ითქვას, რომ ყველაფერს ჩინებულად ართმევდა თავს.

ბაქოში სულ უფრო და უფრო იძაბებოდა მდგომარეობა. აგვისტოში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა კონტრრევოლუციური მთავრობა. ბაქოს კომისრები იძულებული გახდნენ ქალაქიდან გასულიყვნენ, მაგრამ 19 სექტემბერს ისინი დაუპატიმრეს და ღამით აშხაბადისკენ წაიყვანეს. იქ კი, უკაცრიელ ველზე, ახჩა-კუბიდან 207 კილომეტრზე მუხანათურად დახვრიტეს.

— ნუ იფიქრებთ, თითქოს ბაქოს კომისრებმა არ იცოდნენ, რა მოელოდათ, — იგონებს ძველი ბოლშევიკი დავით ლომაძე, — იცოდნენ, და თუმცა შესაძლებლობა ჰქონდათ თავი გადაერჩინათ, უკან დახევა ლაჩრობად მიიჩნიეს. ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე 15 დღით ადრე სტეფანე შაუმიანმა თავისთან იხმო ახალგაზრდა მებრძოლები და მოსთხოვა გასცლოდნენ აზერბაიჯანს, მათ შორის გახლდით მეც. ალიოშამ გამოთხოვებისას თვალცრემლიანმა მხრებზე ხელი მომხვია და მითხრა: წადი ჩვენს სამშობლოში, მაგრამ ცრემლებთან ნუ წაიღებ. მათ თავისი ცრემლიც საკმარისი აქვთ, ჩვენსას ნუღარ დაუმატებო.

უკვე თბილისში გავიგე მათი დახვრეტის ამბავი, არავინ დაიჯერა, თუ შეიძლებოდა ასე ვერა. გულად, ასე განუკითხავად ადამიანების დასჯა. მათი სიკვდილით რევოლუციამ მისი საქმის დიდად ერთგული ადამიანები დაკარგა. დაკარგა ადამიანები, რომელთაც სწამდათ, რომ მომავალი ხალხისა იყო და რომ სწორედ ხალხის ბედნიერებისათვის სწირავდნენ თავს.

„ჩვენ ვკვდებით კომუნიზმისათვის, გაუმარჯოს კომუნიზმს!“ — ამ სიტყვებით შეეგებენ უდრეკი კომისრები ვერაგი მტრის ტყვიას.

თინა სულიაშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მათ უკანდახევა არ იცოდნენ...

კომისრის სახელოსნის ბიბლიოთეკაში

ფართო სურათი, გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქცია; მაგიდას უსხედან სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, სურენ სპანდარიანი და სხვა. სახელოვანი ბოლშევიკები. ეს-ეს არის დამთავრდა ამიერკავკასიის პროლეტარ მუშათა საყვარელი გაზეთის მორიგი ნომრის დაგეგმვა... აქვეა პერიოდული პრესის გამოცემები, ალ. ჯაფარიძის სიტყვები, სტატიები... სოფლის ორობა— ეს ალ. ჯაფარიძის მშობლიური სოფლის — შარდომეთის ხედია...

ეს და ბევრი სხვა ექსპონატი და დოკუმენტია გამოფენილი ფართო სტენდზე, რომელიც თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის ფოიეს ამშვენებს და მგზნებარე რევოლუციონერის დაბადების მე-100 წლისთავს ეძღვნება.

— ეს სტენდი ახლახან გავაფართოეთ, მაგრამ ხედავთ, უკვე მასზე აღარ ეტევა მასალები,— გვეუბნება ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მერი სუთიძე, — თავიდან აქ მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათი იყო. ახლა კი მას ბევრი ახალი დოკუმენტი შეემატა. მაგალითად, ახლა აქ გვაქვს ალ. ჯაფარიძის ყველა სტატიისა და სიტყვის, მასზე დაწერილი მოგონებების, რევოლუციის დიდი ბელადის, ვ. ი. ლენინის, ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვის და სხვათა გამონათქვამები...

ბიბლიოთეკის მეთოდიკურმა განყოფილებამ საიუბილეოდ მოამზადა სახელოსნოო გამოფენაც — ალ. ჯაფარიძის სტატიების კრებულები, მოგონებათა ნაკრები, პერიოდული პრესის გამოცემები გვაცნობს ლენინელი ბაქოელი კომისრის ნათელ პიროვნებას.

ვლ. ჯელიძე.

Ყველა ძველი და ახალი ამხანაგებიდან გამოიჩრჩეოდა როგორც ყველაზე რევოლუციონერი, აქტიური, ენერგიული და თავდადებული მაშინ ახალგაზრდა ალიოშა ჯაფაროიძე. მისი დამოკიდებით მე მოვახსენებ ჟუთაისში პარტიული ორგანიზაციის დაარსებას.

მიხა ცხაკაია.

● ●

ალიოშა თავისი გუნებით შეეძინილი იყო ფართო მშრომელთა მასებში მუშაობისათვის. იგი იყო განუმეორებელი როგორც ორგანიზატორი, მასებთან მოამუშავე, როგორც ადამიანი, რომელსაც შეეძლო თავის მხარეზე გადაებიროებინა და გამოელვიძებინა მუშათა კლასის ყველაზე ჩამორჩენილი ფენა, ის იყო ყველაზე კოკულარული და ყველაზე საყვარელი ადამიანი მაშინდელ მუშაკებს შორის.

აბელ ენუქიძე.

ინტერნაციონალიზმის ფესვები

დოკუმენტური ფილმი ალ. ჯაფარიძის ცხოვრებაზე

მრავალეროვნული საბჭოური კინოხელოვნების ერთ-ერთი ძლიერი და ეროვნული თვითმყოფადობით გამორჩეული ნაკადი — ქართული კინო თავიდანვე ჩადგა ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა სამსახურში.

ამიტომ, ბუნებრივია, უწინარესად ყურადღება მიექცა იმ ადამიანთა გმირული ცხოვრების ეკრანზე ასახვას, რომლებმაც სწორედ ჩვენი საზოგადოების შენების უკეთილშობილეს საქმეს შესწირეს თავი. რაოდენ სიმბოლურია ამ მხრივაც 26 ბაქოელი კომისრის უკანასკნელი სიტყვები: „ჩვენ ვკვდებით კომუნიზმისათვის, გაუმარჯოს კომუნიზმს“.

აი, ეს რწმენა, რწმენა მგზნებარე რევოლუციონერისა, არის მთავარი, რითაც ყოველ ჩვენგანს იზიდავს 26 ბაქოელი კომისრის გმირობა, რომელიც არაერთხელ ასახულა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელსაც შესანიშნავი სტრიქონები, ფილმები, მხატვრული ტილოები უძღვნეს ვლ. მაიაკოვსკიმ, პაოლო იაშვილმა, კინორეჟისორმა ნ. შენგელაიამ და საბჭოური კულტურის სხვა გამოჩენილმა ოსტატებმა. და აი, კიდევ ერთი კინოფილმი (ამჯერად დოკუმენტური) მიეძღვნა ამ გმირულ თემას — ეს ფილმი „ალიოშა ჯაფარიძე“ ჟურნალისტ ეთერ ჯაფარიძის სცენარის მიხედვით საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში გადაიღო ცნობილმა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შალვა ჩაგუნავამ.

დოკუმენტური ფილმის ავტორი, უწინარეს ყოვლისა, ეძებს მანამდე ამავე საკითხზე გადაღებულ კინოკადრებსა და, საერთოდ, ყოველგვარ დოკუმენტურ მასალას. ამ მხრივ შალვა ჩაგუნავას და მის გადამღებ ჯგუფს (კონსულტანტი—მწერალი მიხეილ ლოზოვიცკი, ოპერატორები — ელდარ ვაშაძე და ვლადიმერ კონიაგინი) დიდი მუშაობა გაუწევიათ. აქ ვხვდებით როგორც უიშვიათეს საარქივო მასალებს ალიოშა ჯაფარიძისა და მისი თანამებრძოლების რევოლუციურ მოღვაწეობაზე, ისე მეტად საინტერესო ფოტომასალებს, ფერწერულ ტილოებსა და კადრებს, როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული ფილმებიდან. ცხადია, ყოველივე ეს არსებობდა და მათი მხლოდ პოვნა-მიგნება ცოტას ნიშნავდა. მთავარი იყო როგორ გამოიყენებდნენ ფილმში, რამდენად კარგად შეერწყმოდა ერთმანეთს ეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის ხელით შექმნილი კინოკადრები თუ ფერწერული ტილოები. არსებითად სწორედ აქედან იწყება ეგრეთ წოდებული მონტაჟები, ფილმის შექმნის პრინციპები და. ეს ოსტატობა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა რეჟისორმა შ. ჩაგუნავამ.

უპირველეს ყოვლისა, ფილმმა იმითაც მოიგო, რომ კომპოზიციური არქიტექტურის თვალსაზრისით ფილმის ავტორები არ გაჰყვნენ სტერეოტიპულ, ბოგრავიულ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გზას. მათ თავიდანვე შეგვიყვანეს თავიანთი გმირის ბობოქარი რევოლუციური ცხოვრების შუაგულში, და მხოლოდ ამის შემდეგ თუ გადასვლადებიან, ისიც იშვიათად, ალიოშა ჯაფარიძის პიროვნების ჩამოყალიბების სხვადასხვა შტრიხს. იქნებ ამ იშვიათობის გამოც მიეცა პორტრეტისეული ძერწვის ამ ლირიკულ წიაღსვლებს ასეთი შთაბეჭდავი ძალა, რომელსაც კიდევ უფრო მეტ მომხიბლობას ანიჭებს დიქტორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ფაინარ მეღვინეთუხუცესის ჩვენთვის ესოდენ ნატიფი, საყვარელი ხმა. ეს ხმა განსაკუთრებით ემოციურია, როცა გაისმის სიტყვები, რომლებითაც პოლიტიკურ გადასახლებაში მყოფი ალიოშა ჯაფარიძე მიმართავდა მეუღლესა და შვილებს.

ჩვენს წინაშე ერთხელ კიდევ გაიელვებენ ლეგენდარული 26 ბაქოელი კომისრის გმირული სახეები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც რევოლუციის იდეალებისადმი ურყევი ერთგულების მარადიული სიმბოლო. მათ შორის არის ჩვენი შესანიშნავი თანამემამულე, მეზნებარე რევოლუციონერი და გულმხურვალე ინტერნაციონალისტი ალიოშა ჯაფარიძე.

გ. დოლიძე.

ახალწლის ღამეს

ალიოშა ჯაფარიძე

ა. ჯაფარიძემ ეს ნარკვევი 1915 წლის 31 დეკემბერს დაწერა, როცა ციმბირში, ენისეის გუბერნიის ენისეის მაზრის სოფელ კამენკაში იყო გადასახლებული. ამ დროს იგი სულ ერთი თვის ჩასული იყო გადასახლების ადგილას და ეცნობოდა გადასახლებულ რევოლუციონერებს, რომლებიც ვაჟკაცურად იტანდნენ დიდ გაჭირვებას და არ კარგავდნენ ბრძოლის უნს, „ბრწყინვალე მომავლის იმედს“.

დეკემბრის უკანასკნელ ი დღეა. ახალწლის შემოლოცვა. მწარე ზამთარი იცის ციმბირში დეკემბრის დამლევს. და დღეს მაინც, თავის უკანასკნელ დღეს, ძველ წელიწადს თავისი, უკანასკნელი ძალა მოუკრეფია და თავს არ იზოგავს. ყინვას, სიცივეს, სუსხს და თავის სიმკცრეს, რაც აქამდე დაუხარჯავი დარჩენია, საოცარი სიუხვით ისვრის დედამიწისაკენ; სუსხიანი ქარი გულსაკლავად ზუზუნებს. ცა და დედამინა ყინვის ორთქლით არის მოცული... დიახ, ორთქლით, უფერულით, რომელსაც კარგად ვერც კი გაარჩევთ, მაგრამ ისე სქლად და მაგრად გადაჰკვრია დედამინას, რომ ათ ნაბიჯზე ვერას გაარჩევთ.

ჰაერი სავსეა ყინვის წვეტიანი ნემსებით და ყველაფერს, რაც კი შეხვდებათ წინ, უწყალოდ ჩხვლეტენ და ხვრეტენ, ძვალი და რბილი სულ ერთია მათთვის. მცენარეს ვინ კითხულობს, ადამიანი და ცხოველი ყინვითაა შემოსილი, სადღა ჩანს წვერი, ულვაში, თვალი, წამწამი წარბი — ყველაფერი ყინვითაა შელესილი. ადამიანს ორთქლი ამოსდის პირიდან, სული ეხუთება და უმძიმს სუნთქვა...

ყველა კარის გაღებისთანავე სიცივე გაშმაგებული მხეციცივით შეეჭრება სახლში და სითბოს ორთქლის ზვირთებად ისვრის გარეთ და შეუბრალებლად ყლაპავს და სანსლავს მას გაუმაძღრად...

გააფთრებულად დათარეშობს ყინვა, და სიცივე არც ერთ კუნჭულს არ ტოვებს, ყველგან იჭრება, არც ერთ ცხოველს არ ინდობს... ცხენი, ძროხა, ძაღლი ყინვითაა შემოსილი...

ძველ წელს მტკიცედ გადაუწყვეტია მოსპოს სიცოცხლე მთლად, ერთიანად, უკანასკნელად ჩაიკრას ყველაფერი თავის კლანჭებში...

მაგრამ ამაოდ! ერთ წამსაც არ შეუწყვეტია სიცოცხლეს მოძრაობა, დღეს თითქმის ყველა გამოსჯიბრებია გამხეცებულ სტიქიას, ყველას გადაუწყვეტია მეტი სიცოცხლე გამოიჩინოს, ყველა ფუსფუსებს, შრომობს და ემზადება შეხვდეს ხვალინდელ დღეს — ახალ წელს.

აგერ ბავშვებიც არ ეპუებიან ჯოჯოხეთურ სიცივეს. სირბილ-თამაშის გარდა ბევრი შეშასაც ხერხავს, მერე რა ცქვიტად და ჩქარა, შენ აჩქარებ განა, გამხეცებულო სუსხო?

აი აგერ დუქნის აივნიდან გაჩქარებული ჩამოეშვა ორი ახალგაზრდა ყმაწვილი და თითქმის სირბილით გაჰყვა სოფლის გაყინულ შარაგზას. როგორც უნდა დავაკვირდეთ, მკითხველო, ჩვენ მათ სახეს ვერ გავარჩევთ: სახე მთლად ერთიანად დაუფარავს ჩამოფხატულ ქუდებს.

მაგრამ თუ მათ ტანსაცმელს დაკაკვირდებით და თუ მათი ლაპარაკის კილოს მოჰკარით ყური, მაშინვე მიხვდებით, მკითხველო, რომ ისინი აქაურ მკვიდრ მცხოვრებთ არ ეკუთვნიან... ისინი არც მაწანწალა ჩარჩ-ვაჭრები არიან. ისინი „სტუმრები არიან“, თუმცა აქ არავის დაუპატიჟენია და არც თავისი სურვილით სტუმრებიან ვინმეს. გლეხები მათ უწოდებენ „პოლიტიკოსებს“.

ძალად სტუმრები, სად მიეშურებიან ისინი? ნუთუ მათაც სურთ მოემზადონ დღესასწაულისათვის? ნუთუ მათაც ახალი წელი უთენდებათ ხვალ?

ათი საათი შესრულდა და სტუმარ-მასპინძელიც მოვიდა. არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ ყველანი შეიკრიბნენ.

აქ იყო ჩვენი ნაცნობი „გრაფი“, მას, რასაკვირველია, გრაფის არაფერი ეცხო: გარეგნობით, ქცევით, ჩაცმულობით — ნამდვილ გორკის მოგაგონებდათ. ცხოვრების ტალღას ის ბალტიის ზღვის ნაპირიდან გადმოუსვრია.

აი პეტროგრადელი მუშა, მოსკოველი, რამდენიმე პოლონელი, მალოროსი, ლატიში, გარუსებული ჩეხები, ებრაელები და სხვა. სხვადასხვა კუთხის ხალხი, სხვადასხვა ენა, კილო, ზნე-ჩვეულება.

მათი აზრი და მიმართულებაც ბევრნაირია. გუშინ მკაცრად ბაასობდნენ ერომანეთში, კვლავაც შეიძლება უაღრესად შეეტაკნენ ერთმანეთს, მაგრამ დღეს, ამ საღამოს, ერთნი არიან, ერთი შეთანხმებული ოჯახის წევრები გამხდარნან. ამდენ განსხვავებისათვის უძლეავია რაღაც საერთო ძალას და ისინი მჭიდროდ შეუკავშირებია პატარა ჯგუფად, მათ დავიწყებიათ მწვავე კითხვები და ძმურ მასლაათში და მხიარულებაში არიან.

მოახლოვდა თორმეტი საათი. ათი წუთი აკლია ახალ წელს.

დამთავრდა თუ არა პატარა სიტყვა, იგრიალა საერთო სიმღერამ, საერთო ჰიმნმა. ხმები არ იყო შეწყობილი, უმეტესი ნაწილი მომღერალიც არ იყო, მაგრამ სული და გული, გრძნობა და მისწრაფება ამ სხვადასხვა ადამიანებისა გაერთიანებული იყო მომხიბლავი სიძლიერით, შემდეგ სიმღერები სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ადგილის, სხვადასხვა ხალხის, მათი ჯაფისა და ტანჯვის მოთქმა-გოდება, წარსულისა და აწმყოს სიმწარე; ბრძოლის ყიჟინი, ბრწყინვალე მომავლის იმედი...



სურათზე: ა. ჯაფარიძის მემორიალი და სახლ-მუზეუმი ონის რაიონის სოფელ შარდომეთში.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

მამა...

ალიოშა ჯაფარიძე დემოკრატი იყო ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მუშებთან ერთად, რომელთა კეთილდღეობასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა თავისი ვაჟკაცური და ლამაზი სიცოცხლე.

ჩვენ ბევრი რამ გაგვიგონია ამ ადამიანის მოღვაწეობაზე, მის თვისებებზე, მაგრამ საინტერესოა, როგორი იყო ალიოშა ჯაფარიძე ოჯახში, საყვარელ ცოლ-შვილთან? სწორედ ამის შესახებ ჩვენს მკითხველებს ესაუბრებიან დიდი რევოლუციონერის ქალიშვილები — ლუცია და ელენე ჯაფარიძეები, რომლებიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობენ და ალიოშა ჯაფარიძის საიუბილეო დღეებში საქართველოში ჩამოვიდნენ.

ლუცია ჯაფარიძე: ელენე ჩემზე ერთი წლით უმცროსია. კომუნისტია, სპეციალობით ინჟინერ-მეტალურგი. მონაწილეობდა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში, დიდი სამამულო ომის წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილედ. ამჟამად პერსონალური პენსიონერია, არის ჟურნალ „პროფენერგეტიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ლენინის ორდენის კავალერია და კიდევ სხვა ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული.

ელენე ჯაფარიძე: ჩემი უფროსი დაც კომუნისტია. ლუციამ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. მუშაობდა ჯერ თბილისში, შემდეგ მოსკოვში. კომკავშირით დაიწყო და პარტიული მუშაკი გახდა. ამჟამად პერსონალური პენსიონერია. არის სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის საზოგადოებრივი კომისიის წევრი.

ლუცია ჯაფარიძე: ახლა ჩვენი საყვარელი მამის საიუბილეო დღეებია, რომელიც ბაქოში დაიწყო და საქართველოში დაგვირგვინდება. გვიხარია სამშობლოში ყოფნა. აქ ბევრი ნათესავი გვყავს, ყოველ ჩამოსვლაზე ახლობლები გვიმრავლდებიან. აქ გვეგულება ჩვენი საყვარელი მამიდაშვილი მედეა ჯაფარიძე, თავისი მშვენიერი ქმარ-შვილით.

ელენე ჯაფარიძე: უფრო ადრე ვერ მოგვიხერხდა მამის სამშობლოში, რაჭაში ჩასვლა, მხოლოდ 60-იან წლებში ვესტუმრეთ პატარა სოფელ შარდომეთს. მაშინ მამის თანამედროვეებსაც ბევრს შევხვდით და ვესაუბრეთ.

ლუცია ჯაფარიძე: მაშინ გავიცანით 90 წლის კოლმეურნე იობა ჩიქვინიძე. იგი მამის თანაკლასელი და მეგობარი აღმოჩნდა. მან გაიხსენა „პაკია“ (ასე ეძახდნენ მამას ბავშვობაში) — საოცარი ბავშვი იყო, გულადი, მხიარული, კეთილი, ამხანაგს დახეული ქურთუკი რომ დაუნახა, გაიხადა და თავისი ერთადერთი ქურთუკი მას აჩუქა.

